ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №781895

ნომერი: AR1139881

თარიღი : 18.06.2013

გაცემის თარიღი : 09.07.2013

გაცნობის თარიღი : 11.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კურდღელია პ/ნ 19001006629
- ზუგდიდი თეთრი გიორგის ქ. N 1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის #462345 (17.12.2012) გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 06.18.2013 წელს AR1139881 განცხადებით მომართეს მოქალაქე დავით კურდღელიამ და შპს „Forward +“-ის დირექტორმა გიორგი ცაგურიამ და ითხოვენ სამსახურის მიერ #462345 (17.12.2012) გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, ვინაიდან მოხდა მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის, ფართობის და მესაკუთრის ცვლილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 17.12.2012 წელს #01.72.14.035.190 საკადასტრო ერთეულზე, მიწის ნაკვეთის ფართობით 1301 კვ.მ. #462345 გადაწყვეტილების საფუძველზე დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული აქტის საფუძველზე დამკვეთს დაევალა 10 მ-იანი განაშენიანების რეგულირების ხაზის დაცვა სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 18.06.13 წლის 882013281044 განაცხადის საფუძველზე მომზადებული საკადასტრო გეგმის თანახმად დგინდება, რომ შეიცვალა მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია და მესაკუთრე.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ამავე დადგენილების მე–20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლასთან დაკავშირებით, ხოლო მესაკუთრის ცვლილებასთან დაკავშირებით დამკვეთს უთხრას უარი ვიანიდან, მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე კანონმდებლობის თანახმად, ნებართვის გამცემი ორგანო არ იკვლევს დამკვეთის ვინაობას და დამკვეთი არის განმცხადებელი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.12.2012 წლის #462345 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართი მიეთითოს: 2301 კვ.მ, საკადასტრო კოდი: 01.72.14.035.629;
2. 17.12.2012 წლის #462345 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 18.06.13 წლის 882013281044 განაცხადის საფუძველზე მომზადებული საკადასტრო გეგმა;
3. შენიშვნის სახით დაემატოს: დაცული იქნეს საკადასტრო გეგმაზე დასმული განაშენიანების რეგულირების ხაზი.
4. უარი ეთქვას განმცხადებელს დამკვეთის ცვლილებაზე;
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.12.2012 წლის #462345 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.